[●] 2023

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“

მამხილებლის დაცვის პოლიტიკა

მამხილებლის დაცვის პოლიტიკა

მუხლი 1

წინამდებარე აქტის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **მხილება** – პირის (მამხილებლის) მიერ განცხადების განმხილველი ორგანოს ინფორმირება სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ („ფონდი“) თანამშრომლის (მხილებულის) მიერ საქართველოს კანონმდებლობის ან ფონდის შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის, ფონდის რომელიმე პოლიტიკის ან/და დირექტორის ბრძანების დარღვევის შესახებ, რომელმაც ზიანი მიაყენა ან შეიძლება მიაყენოს საჯარო ინტერესს ან/და ფონდის რეპუტაციას.

ბ) **თანამდებობის პირი** - ფონდის დირექტორი და იმ შვილობილი კომპანიების დირექტორები, რომელთა აქციების/წილების 100%-ს ფლობს ფონდი.

გ) **განცხადების განმხილველი ორგანო** – სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ აქციონერთა საერთო კრების მიერ 3 წევრით დაკომპლექტებული აუდიტის კომიტეტის წარდგინებით, დირექტორის მიერ დანიშნული შესაბამისობის ოფიცერი და/ან ნებისმიერი კომისია/კომიტეტი, რომელიც შესაბამისობის ოფიცრის დავალებით იქმნება კონკრეტული მხილების ეფექტურად განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით;

დ) **მამხილებლის ახლო ნათესავი** – მამხილებლის მშობელი, მშვილებელი, შვილი (გერი), მინდობით აღსაზრდელი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული), მამხილებელთან მუდმივად მცხოვრები პირი.

მუხლი 2

1. მხილება კეთილსინდისიერი უნდა იყოს და უნდა ემსახურებოდეს სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდში“ თაღლითობის, ფულის გათეთრების, სხვა ფინანსური დანაშაულის, საქართველოს კანონმდებლობის, ფონდის შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის ან ფონდის ნებისმიერი სხვა პოლიტიკის დარღვევის თავიდან აცილებას, გამოვლენას ან აღკვეთას ან/და საჯარო ინტერესის დაცვას.

2. მხილებას ექვემდებარება:

ა) ნებისმიერი სისხლის სამართლის დანაშაული (როგორიც არის თაღლითობა, ქურდობა, მექრთამეობა, მექრთამეობის მცდელობა, ნებისმიერი სახის ფინანსური დანაშაული და ა.შ.);

ბ) ბუღალტრულ აღრიცხვასთან, ხარჯების ანგარიშებთან, ანგარიშ-ფაქტურებთან/ინვოისებთან ან აუდიტის საკითხებთან დაკავშირებული დარღვევები;

გ) კომერციული საიდუმლოს ან კონფიდენციალური ინფორმაციის უნებართვოდ გამჟღავნება;

დ) დისკრიმინაცია ან შევიწროება;

ე) ქცევა, რომელმაც შესაძლოა დააზიანოს ფონდის რეპუტაცია;

ვ) კომპანიის რესურსების არასათანადოდ გამოყენება;

ზ) ინტერესთა კონფლიქტი;

თ) ვიქტიმიზაცია, შურისძიება ან სასჯელის მიზღვა მხილებლისათვის;

ი) ნებისმიერი ზემოაღნიშნულის განზრახ დამალვა.

2. მხილება კეთილსინდისიერად ითვლება, ვიდრე საწინააღმდეგო არ დამტკიცდება.

მუხლი 3

1. მხილება შეიძლება განხორციელდეს წერილობით, ზეპირად, ელექტრონულად, ან ოფისის კართან არსებული ყუთის საშუალებით, სადაც შესაძლებელი იქნება ანონიმურად საჩივრის ჩაგდება. მხილება უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

ა) ისტორია, ფაქტები და პრობლემის მიზეზები/საფუძვლები;

ბ) მონაწილე პირთა სახელები, მათ შორის დაკავშირებული პირები და მოწმეები, თარიღები, ადგილები და სხვა შესაბამისი ინფორმაცია;

გ) ნებისმიერი დოკუმენტაცია, რაც კავშირშია საკითხთან და ადასტურებს მითითებულ ინფორმაციას.

2. მხილება შეიძლება ანონიმური იყოს.

3. თუ არ არსებობს მამხილებლის მიერ საკუთარი ვინაობის გამჟღავნების წერილობით გამოხატული ნება, განცხადების განმხილველი ორგანო ვალდებულია არ გაამჟღავნოს მამხილებლის ვინაობა.

4. მამხილებლის მიერ თანამდებობის პირის მხილების შემთხვევაში მოქმედებს „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც მხილების დადასტურების შემთხვევაში ითვალისწინებს დისციპლინურ პასუხისმგებლობას, ხოლო თუ ქმედება მოიცავს დანაშაულის ან/და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ნიშნებს, მხილებულს დაეკისრება კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი პასუხისმგებლობა.

5. ზეპირი მხილებისას შესაბამისობის ოფიცერი წერილობით ადგენს ოქმს და იწყებს საქმის წარმოებას, ან გადასცემს მას განსახილველად ეთიკის კომიტეტს. ამ პოლიტიკის შესაბამისად, წერილობითი შეტყობინების მიღების შემთხვევაში, შესაბამისობის ოფიცერი უფლებამოსილია ფონდის ნებისმიერ ორგანოს, კომისიას, კომიტეტს, ფონდის შესაბამის სამსახურებს/დეპარტამენტებს/სტრუქტურულ ერთეულებს და მათ ხელმძღვანელებს და/ან ნებისმიერ პირს, ვისაც მიზანშეწონილად მიიჩნევს შესაბამისობის ოფიცერი, დაავალოს ამ პოლიტიკით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების დარღვევის/შესაძლო დარღვევის ფაქტის შესწავლასა და შესაბამისი მითითებებისა და რეკომენდაციების შემუშავებაში მხარდაჭერა.

6. ელექტრონული გზით საჩივარი წარმოდგენილი უნდა იყოს ფონდის ვებ-გვერდის (www.gedf.com.ge) მეშვეობით.

მუხლი 4

1. დაუშვებელია მამხილებლის, მისი ახლო ნათესავის ან მოწმის დაშინება, შევიწროება, იძულება, დამცირება, დევნა, მასზე ზეწოლა, მისთვის მორალური ან მატერიალური ზიანის მიყენება, მის მიმართ ძალადობის ან ძალადობის მუქარის გამოყენება, დისკრიმინაციული მოპყრობა ან სხვა უკანონო ქმედების განხორციელება მხილების ფაქტთან დაკავშირებით.

2. ამ მუხლით დადგენილი დაცვის გარანტიების უზრუნველყოფის მონიტორინგს ახორციელებს ფონდის აქციონერთა საერთო კრება.

3. სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას მხილებასთან დაკავშირებული საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე, თუ ამ საქმეში მონაწილეობის გამო მამხილებლის, მისი ახლო ნათესავის ან მოწმის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას საფრთხე ემუქრება, მამხილებელი, მისი ახლო ნათესავი, ან მხილების მოწმე უფლებამოსილია მიმართოს საქართველოს პროკურატურას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესახებ.

მუხლი 5

მამხილებელი დაცვის გარანტიებით სარგებლობს განურჩევლად იმისა, მხილების შედეგად გამჟღავნებული ინფორმაცია სწორია თუ მცდარი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც:

ა) მხილების შედეგად გამჟღავნებული ინფორმაცია მცდარია, რაც მამხილებლისთვის წინასწარ იყო ცნობილი ან ცნობილი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან მას შეეძლო გადაემოწმებინა მხილებისათვის საჭირო ინფორმაციის სისწორე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მან ამ ინფორმაციის გადამოწმებისთვის აუცილებელი ყველა შესაძლო ზომა მიიღო და მისი მცდარობა მაინც ვერ დაადგინა;

ბ) მამხილებელი მოქმედებს თავის ან სხვის მიერ გამორჩენის მისაღებად, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული სპეციალური ჯილდოს მიღების შემთხვევისა.

მუხლი 6

1. განცხადების განმხილველი ორგანო მხილების განცხადებას განიხილავს მისი წარდგენიდან 1 თვის ვადაში. საქმის სირთულიდან გამომდინარე განცხადების განმხილველი ორგანოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით აღნიშნული ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს დამატებით 1 თვის ვადით.

2. თუ მხილების განცხადების განხილვის შემდეგ გაირკვა, რომ ჩადენილი დარღვევა ეწინააღმდეგება ფონდის შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსს ან/და ფონდის ნებისმიერ პოლიტიკას, ეს გამოიწვევს ამავე შინაგანაწესით გთვალისწინებულ დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

მუხლი 7

1. მხილების შესახებ განცხადებების მიღებასა და ადმინისტრირებას განახორციელებს შესაბამისობის ოფიცერი.

2. შესაბამისობის ოფიცერი განიხილავს მექრთამეობის საწინააღმდეგო და ანტი-კორუფციული და ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკების შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებულ საქმეებს, ეთიკის კოდექსისა და სხვა შიდა რეგულაციების შესაძლო დარღვევებს კი განიხილავს ეთიკის კომიტეტი.

3. დაუშვებელია, პირმა განიხილოს მხილების განცხადება, თუ ეს განცხადება მიმართულია მის წინააღმდეგ, ან ის პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია გადაწყვეტილების შედეგით, ან არსებობს სხვა გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის მის მიუკერძოებლობას.

4. თუ მხილება ეხება შესაბამისობის ოფიცერს, საკითხი განსახილველად გადაეცემა ეთიკის კომიტეტს.

5. შესაბამისობის ოფიცერი მხილების შესახებ განცხადების მიღების შემდეგ, განცხადებას თავად განიხილავს ან განსახილველად გადასცემს ეთიკის კომიტეტს მხილების შინაარსის შესაბამისად.

6. საქმის მოკვლევის პროცესში შესაბამისობის ოფიცერი ადმინისტრაციულ დახმარებას უწევს ეთიკის კომეტიტს - აცნობებს მხილებულს მხილების შესახებ, იღებს მისგან პასუხს, ეთიკის კომიტეტის მითითებით უკავშირდება მოწმეს და ა.შ.

მუხლი 8

1. მხილებულს უნდა ეცნობოს მის წინააღმდეგ მიმართული მხილების განცხადების და არსებული მტკიცებულებების შესახებ. მას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, პასუხი გასცეს მხილებას მხილების განცხადებაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა. მხილებულის პოზიცია უნდა აისახოს განცხადების განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილებაში.

2. განცხადების განმხილველი ორგანო საჭიროების შესაბამისად გამოკითხავს მოწმეებს, შესაბამის პირთაგან გამოითხოვს მტკიცებულებებს და განახორციელებს საქმის მოკვლევისათვის საჭირო ყველა შესაბამის ქმედებას.

მუხლი 9

1. განცხადების განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილება წერილობით უნდა გაფორმდეს და უნდა შეიცავდეს:

ა) მხილების ფაქტობრივი გარემოებების აღწერას;

ბ) გამოკვლეული მტკიცებულებების ჩამონათვალსა და აღწერას;

გ) მხილებულის პოზიციას;

დ) გადაწყვეტილების დასაბუთებას.

2. დაუშვებელია, განცხადების განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილება დაეფუძნოს იმ გარემოებას, ფაქტს, მტკიცებულებას ან არგუმენტს, რომელიც მხილების განცხადების განხილვის პროცესში სათანადოდ გამოკვლეული და შესწავლილი არ ყოფილა.

3. განცხადების განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილება მიღებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში ეცნობებათ მხილებულსა და მამხილებელს. ანონიმური მხილების შემთხვევაში განცხადების განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილება ეცნობება მხოლოდ მხილებულს.

მუხლი 10

- წინამდებარე პოლიტიკა მოქმედებს ფონდის დირექტორის მიერ მისი შესაბამისი ბრძანებით დამტკიცების თარიღიდან.

- წინამდებარე პოლიტიკას არ აქვს უკუქცევითი ძალა.

- იმ შემთხვევაში, თუ გაქვთ ეჭვი, რომ ეს პოლიტიკა არ ხორციელდება, თქვენ ვალდებული ხართ წერილობითი ფორმით დაუკავშირდეთ შესაბამისობის ოფიცერს და გაანდოთ თქვენი თვალსაზრისი.